ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსათავსებელი ლითონის დეკორატიული ცხაურების ჩარჩოების (თანმდები მომსახურებით - მონტაჟით) სახემწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

ქ. თბილისი 01.08.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

<u>სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:</u>

ლაშა აბაშიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი).

<u>სატენდერო კომისიის წევრები:</u>

გივი კუბლაშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი;

ირინა ჭეიშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

ჰამლეტ ჟიჟიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

სოფია გიგანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;

ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

<u>სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:</u>

გიორგი მამულაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

ჯოტო პატარაია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის საქონლისა და მომსახურების შესყიდვების განყოფილების უფროსი;

სხდომას არ ესწრებოდნენ:

დავით მორალიშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი - სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი მუშკუდიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის საქონლისა და მომსახურების შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.

დღის წესრიგი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსათავსებელი ლითონის დეკორატიული ცხაურების ჩარჩოს (თანმდები მომსახურებით - მონტაჟით) სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატმა სხდომას დასამტკიცებლად წარმოუდგინა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-16, მე-17 მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მოთხოვნის წერილის ტექნიკური დავალების შესაბამისად მომზადებული, სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი: ა) სატენდერო განცხადების პროექტი და ბ) სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

სატენდერო კომისიის წევრებმა მოისმინეს სატენდერო კომისიის წევრის გივი კუბლაშვილის გამოსვლა, რომელმაც აღნიშნა, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში საჭიროა განისაზღვროს შემდეგი პირობები:

ა) მონტაჟი უნდა განხორციელდეს ანკერებით ბეტონის საფუძველზე, ესკიზი N1-ის (1.2) მიხედვით (მასალისა და მონტაჟის ღირებულების გათვალისწინებით).

ბ) საგარანტიო ვადის განმავლობაში შესყიდვის ობიექტის დეფექტის/წუნის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში იგი უნდა შეკეთდეს ან შეიცვალოს ახლით შემსყიდველის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში.

გ) შესყიდვის ობიექტის დეფექტის/წუნის/ხარვეზის აღმოჩენის გამო შესყიდვის ობიექტის შეკეთების ან/და ახლით შეცვლისას ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.

დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

ე) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

ვ) შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ვ.ა) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

ვ.ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ვ.გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

სატენდერო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული მეთოდით (აბრევიატურა: NAT) ჩასატარებელი ტენდერის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები, გამოთქმული მოსაზღვებების გათვალისწინებით.

კომისიამ დაადგინა:

1) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-15 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით;

2) მოხდეს სატენდერო განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარე	/ლაშა აბაშიძე/
კომისიის წევრი	/გივი კუბლაშვილი/
კომისიის წევრი	/ირინა ჭეიშვილი/
კომისიის წევრი	/ჰამლეტ ჟიჟიაშვილი/
კომისიის წევრი	/სოფია გიგანი/
კომისიის წევრი	/ლევან მიქავა/
აპარატის წევრი	/გიორგი მამულაშვილი/
აპარატის წევრი	/ჯოტო პატარაია/

სატენდერო განცხადების პროექტი

- ტენდერის ტიპი: *ელექტრონული ტენდერი* (აუქციონის გარეშე)
- შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 18123 ლარი.
- სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს: დღგ–ს ჩათვლით.
- შესყიდვის ობიექტი და მისი შესაბამისი CPV კოდი: *44142000 - ჩარჩოები/კარკასები*

- შესყიდვის ობიექტის დამატებითი ინფორმაცია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსათავსებელი ლითონის დეკორატიული ცხაურების ჩარჩოების (თანმდები მომსახურებით - მონტაჟით) შესყიდვა.

- შეთავაზების ფასის კლების ბიჯი: 72 ლარი.

- 2017 წლის ბიუჯეტის სახსრებით